

დამატებითი პირობები

ელექტროენერჯის მყიდველისთვის, რომლის ქსელის მეშვეობითაც ხორციელდება გამყიდველის მომხმარებელთა ელექტროენერჯით მომარაგება

ქ. თბილისი, თარიღი --- / ----- / 20-- წ.

1.	იმ შემთხვევაში, თუ მყიდველი ფლობს ელექტროენერჯის ქსელს, იგი ვალდებულია, სხვა მომხმარებელთა ელექტროენერჯით მომარაგების მიზნით, ითმინოს მისი ქსელით სარგებლობა და გაატაროს ელექტროენერჯია.
2.	მყიდველი, რომლის ქსელის მეშვეობითაც წარმოებს გამყიდველის მომხმარებელთა ელექტროენერჯით მომარაგება, ვალდებულია უზრუნველყოს მის მფლობელობაში არსებული ქსელის (ელექტროენერჯის გატარების მომსახურებაში მონაწილე აქტივების - ელექტროგადამცემი ხაზი ან/და სატრანსფორმატორო პუნქტი ან/და გამანაწილებელი, დაცვისა და საკომუტაციო მოწყობილობები) გამართული მუშაობა/ფუნქციონირება.
3.	გამყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეამოწმოს მყიდველის მფლობელობაში არსებული ქსელის (ელექტროენერჯის გატარების მომსახურებაში მონაწილე აქტივების) ტექნიკურ ნორმებსა და სტანდარტებთან, ასევე უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობა.
4.	მყიდველი ვალდებულია ნებისმიერ დროს დაუშვას გამყიდველის წარმომადგენელი მის მფლობელობაში არსებულ ქსელთან. ამასთან, მყიდველს უნდა შეეძლოს შემოწმებულ პირთა (გამყიდველის თანამშრომლების) იდენტიფიცირება შესაბამისი დოკუმენტის, ფორმის ან/და მყიდველისათვის წინასწარ ცნობილი სხვა საშუალებების საშუალებით.
5.	იმ შემთხვევაში, თუ მყიდველი არასაპატიო (დაუსაბუთებელი) მიზეზით არ დაუშვებს გამყიდველის წარმომადგენელს მის მფლობელობაში არსებულ ქსელთან, ან არღვევს წინამდებარე დანართის მე-2 პუნქტს, მყიდველს დაეკისრება ვალდებულება აანაზღაუროს მატერიალური ზიანი, რომელიც წარმოექმნება გამყიდველს იმ მომხმარებლების მიმართ, რომელთა ელექტროენერჯით მომარაგება წარმოებს მყიდველის მფლობელობაში არსებული ქსელის მეშვეობით.
6.	თუ შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ მყიდველის მფლობელობაში არსებული ქსელი არ შეესაბამება ტექნიკურ ნორმებსა და სტანდარტებს, ასევე უსაფრთხოების ნორმებსა და სტანდარტებს, ამასთან საფრთხე ექმნება სხვა მომხმარებლების ელექტროენერჯით უწყვეტ და საიმედო მომარაგებას, გამყიდველი უფლებამოსილია:
6.1	მოსთხოვოს მყიდველს, ქსელის გამართულად ფუნქციონირების მიზნით, მოიყვანოს იგი შესაბამისობაში ტექნიკურ ნორმებსა და სტანდარტებთან, ასევე უსაფრთხოების ნორმებსა და სტანდარტებთან, მათ შორის, ელექტროენერჯის გატარების მომსახურებაში მონაწილე აქტივების აღდგენა, შეცვლა, მონტაჟი და ა. შ.
6.2	განუსაზღვროს მყიდველს გონივრული ვადა (ჩასატარებელი სამუშაოების მოცულობის გათვალისწინებით), რომლის განმავლობაშიც უნდა განხორციელდეს ქსელის შესაბამისობაში მოყვანა ტექნიკურ ნორმებსა და სტანდარტებთან, ასევე უსაფრთხოების ნორმებსა და სტანდარტებთან;
6.3	იმ შემთხვევაში, თუ მყიდველი, გამყიდველის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში ვერ უზრუნველყოფს მის მფლობელობაში არსებული ქსელის შესაბამისობაში მოყვანას ტექნიკურ ნორმებსა და სტანდარტებთან, ასევე უსაფრთხოების ნორმებსა და სტანდარტებთან, გამყიდველი უფლებამოსილია თავად (საკუთარი ძალითა და სახსრებით) განხორციელოს შესაბამისი სამუშაოები, მათ შორის ელექტროენერჯის გატარების მომსახურებაში მონაწილე აქტივების აღდგენა, შეცვლა, მონტაჟი და ა. შ.
6.4	მყიდველის მფლობელობაში არსებულ ქსელზე შესაბამისი სამუშაოების გამყიდველის ძალითა და სახსრებით განხორციელების შემთხვევაში, გამყიდველი უფლებამოსილია, სამუშაოების

	დასრულებიდან 7 (შვიდი) დღის ვადაში, წარუდგინოს მყიდველს განხორციელებული სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა და სხვა დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში), რომელიც ადასტურებს შესრულებული სამუშაოს მოცულობას და გამყიდველის მიერ გაწეულ ხარჯებს;
6.5	მყიდველი ვალდებულია, გამყიდველის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის და შესაბამისი წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 30 (ოცდაათი) დღის ვადაში, სრულად აანაზღაუროს გამყიდველის მიერ გაწეული ხარჯები.
7.	მხარეთა შეთანხმებით შესაძლებელია განხორციელდეს მყიდველის მფლობელობაში არსებული ქსელის ერთობლივი ძალითა და სახსრებით აღდგენა-რეკონსტრუქცია. ასეთ შემთხვევაში, მყიდველის მიერ, გამყიდველისათვის ასანაზღაურებელი თანხა განისაზღვრება ამ უკანასკნელის მიერ გაწეული ხარჯების პროპორციულად.
8.	მყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს გამყიდველს თავისი წარმომადგენლის დასწრება/მონაწილეობა ქსელში აღდგენა-რეკონსტრუქციის მიზნით წარმოებული სამუშაოების პროცესში. ამ უფლების გამოუყენებლობის შემთხვევაში, მყიდველი კარგავს შესაძლებლობას განაცხადოს პრეტენზია მის მიერ გამყიდველისათვის ასანაზღაურებელ თანხასთან მიმართებაში.

ელექტროენერჯის მყიდველის ხელმოწერა: _____

ელექტროენერჯის გამყიდველის წარმომადგენლის ხელმოწერა: _____

” _____ “ _____ 20__ წ.